# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 ივნისი 2006 №127 (2749) ფასი 50 თეთრი


# 1 წელი და წადი

ძალიან უცნაური პროფესიაა სპორტული ჟურნალისტობა საქართველოში. ძალიან ხშირად — ხშირად კი არა გამუდმებით — წერ იმაზე, რაც ტყუილია.

ტყუილს კი არ ვწერთ, ტყუილებზე გვიხდება წერა — ისეთ ტყუილებზე, სანამ არ გამოაშკარავდება,· ვერ დაწერ, ტყუილიაო.

უფრო კონკრეტულად?

„ცხინვალის" უფროსობა მთელი წელი წუწუნებდა, რომ ფული არ აქვთ, თუმცა უფროსობის უფროსობა ჰპირდება და დღე-დღეზე...

კარგით რა, მიმცემი აქამდეც მისცემდა, დღეს კი ტყუილს ის უფრო ჰგავს, „ცხინვალი" მომდევნო სეზონშიც უმაღლესში ითამაშებსო, მტკიცება რომ დაგვიწყონ.

„ბათუმის" ინგლისელი ინვესტორი...

იგივე წარმატებით, შეეძლოთ ეთქვათ, „ბათუმის" უცხოპლანეტელი ინვესტორიო — გუნდმა მეორე წრეში თხუთმეტიდან 13 თამაში მოიგო, გაისად ჩემპიონობაზე უნდა გაქაჩულიყო, ახლა კი კულუარებში ლაპარაკობენ, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო. ყველაფერი იმ მითიური ინგლისელი ინვესტორის ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული, რომლის სახელიც არა თუ ვერ ითქვა და ეჭვი გვაქვს, არსებობს კი საერთოდ...

„ბორჯომი" — „ბათუმზე" არანაკლებ ამბიციური გუნდი — ფაქტობრივად აღარ არსებობს. მომდევნო სეზონში პრეზიდენტი ბორჯომს რომ ესტუმრება, სტადიონის მაგიერ ალბათ სხვა რამეს აჩვენებენ წარმატებული განვითარების დასტურად...

როდემდე ეს ერთწლიანი პროექტები?



ბაჩო კოპალიანის ფოტო



ბაჩო კოპალიანის ფოტო



# ბარბაროსებმა საქართველოში თვისტომები აღმოაჩინეს

„გაისად ჩვენს გუნდში აუცილებლად უნდა ვათამაშოთ ორი-სამი ქართველი. ასეთი შეუპოვრობა, რაგბის სიყვარული და კაცური თამაში იშვიათად მინახავს. აქ რომ მოვდიოდით, არ მეგონა, თუ ასეთი მებრძოლი გუნდი დაგვიპირისპირდებოდა" — ეს ბარბაროსებად წოდებული მსოფლიოს სარაგბო კრებულის 82 წლის პრეზიდენტმა მიკი სტილ-დოჯერმა გვითხრა.

18 წელია, სტილ-დოჯერი „ბარბაროსებს" თავკაცობს და ამ ხანში თავის რჩეულებს თორმეტი ქვეყანა მოატარა.

საერთოდ, ბარბაროსულ წესებში ისიც წერია, რომ სადაც რაგბის ეს მისიონერები ჩადიან, თამაშისას იმ ქვეყნის ერთ მორაგბეს მაინც იმატებენ. ამ ჯერზე, ეტყობა, „ოვალის ჯენტლმენებს" ეს წესი „დაავიწყდათ", თუმცა ქართველთა გაბარბაროსებას საგაისოდ გვპირდებიან.

მიკი სტილ-დოჯერის თქმით, საგაისო ტურნეზე ჩვენი „ლელოებიდან" პალიკო ჯიმშელაძესა და ირაკლი მაჩხანელს დაიმატებენ.

ჯიმშელაძემ „ბარბაროსებთან" ჯახში ჩვენი ნაკრების მატიანეში პირველმა მოიწაგრა 50-ე სანაკრებო კეპი, ხოლო მაჩხანელმა დიდ რაგბობაში ორი ეშხიანი ლელო გაუტანა ჩამოსულებს.

**ბაჩო სვანიძე**




# იმედის დეტალები იმედაშვილისთვის

*— დღეს სულ 40 წუთი ტყეში ვირბინეთ, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა — გვითხრა გუშინ „ვიტ ჯორჯიადან" კიევის „დინამოში" წასულმა დავით იმედაშვილმა, რომელსაც უკრაინელი გრანდი უკვე კარგა ხანია აკვირდება და ამ რამდენიმე დღის წინ მიიწვია კიდეც.*



კიევის „დინამომ" ახალი სეზონისთვის მზადება გუშინ დაიწყო. კლუბს ჯერ ერთი შეკრება აქვს მოსალევი, მერე უკრაინის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი და ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ერთი ორკვირიანი სამზადისი.

— უკვე გადაწყვეტილია, რომ კიევის „დინამოს" პირველ შეკრებაზე გავყვები, სხვას ვერაფერს გეტყვით, როგორც მითხრეს, სხვა საკითხებზე შეკრების შემდეგ იქნება ლაპარაკი.

კიევში ჩასვლისთანავე კი დავით იმედაშვილს „დინამოს" ხელმძღვანელობასთან უნდა ესაუბრა:

— დიახ, ხელმძღვანელობას უკვე შევხვდი და სამომავლო ურთიერთობის ზოგიერთი დეტალიც შევათანხმეთ. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, კიეველებთან კონტრაქტს გავაფორმებ თუ არა, მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ გაირკვევა...

**კობა ინასარიძე**

# იაშვილი ნანობს შარშანდელს და შარშანწინდელს

ალექსანდრე იაშვილს „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, მაგრამ დარჩენა აღარ სურს. ის კვლავაც გუნდის ლიდერია, მაგრამ დასასრული ყველაფერს უნდა ჰქონდეს — იაშვილმა რამდენჯერმე დააპირა „ფრაიბურგიდან“ წასვლა, ახლა კი ამის სურვილი ადრინდელებზე ძლიერია. კლუბის გამოცვლა იაშვილს იმადაც სჭირდება, რათა ეროვნულ ნაკრებში კვლავ საკვანძო ფეხბურთელად იქცეს. მოკლედ, 28 წლის იაშვილი კარიერაში ახალი ნაბიჯისთვის ემზადება...



## ახლა ფულს ფეხბურთის თამაში მირჩევნია

— სად აპირებ გადასვლას, რა ვარიანტები გაქვს?

— სად წავალ, ჯერ არ ვიცი, მაგრამ არის რამდენიმე ბუნდესლიგური გუნდის ვარიანტი, კიდევ საფრანგეთის პირველი დივიზიონის ორი გუნდი, ერთი ინგლისური პრემიერლიგის და ერთიც ინგლისის ჩემპიონატის, თუმც ინგლისის ქვედა ლიგაში თამაში არ მხიბლავს, რანგით მეორე ლიგაში გერმანიაშიც ვარ. მაქვს რუსეთში და უკრაინაში წასვლის საშუალება, ამ ქვეყნებიდან ფინანსურად საკმაოდ მიმზიდველი შემოთავაზებებია, მაგრამ ფულს ახლა ფეხბურთის თამაში მირჩევნია.

— პირველ ბუნდესლიგას საფრანგეთის პირველი დივიზიონი გირჩევნია?

— არა, უბრალოდ, ფრანგულ ვარიანტებზე ჩემმა მენეჯერმა მითხრა.

— ახალი მენეჯერი გყავს?

— კი. ჩემ სატრანსფერო საქმეებს ახლა ტომ სანდერსი წარმართავს.

— ფორვარდი ხარ და, როცა გუნდის გამოცვლა გსურს, ყველა იმას უყურებს, რამდენი გოლი შეაგდე. ბოლო წლებში კი პირველ თუ მეორე ბუნდესლიგაში ბევრი გოლი ვერ გაგაქვს...

— როცა მწვრთნელი არ გიცნობს, ის ყველაზე უფრო გოლების რაოდენობას უყურებს და ეს ფაქტორი ტრანსფერის დროს ძალიან მნიშვნელოვანია. თუმც ბოლო წლებში საგოლე გადაცემებში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყავი. „ფრაიბურგში“ ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, რომ ბევრი გოლის გატანა შეუძლებელი იყო. ვფიქრობ, ბუნდესლიგურ. გუნდში გადასვლა ჩემთვის უფრო იოლი იქნება, რადგან გერმანიაში ყველა კარგად მიცნობს.

— კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში 4-3-3 სქემა ირჩია და ასეთ განლაგებაში სად უნდა ითამაშოს ალექსანდრე იაშვილმა? ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებში შეცვლაზე შეხვედი და ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, შენი ამპლუა ნაკრებში ჯერ ბოლომდე გარკვეული არაა...

— 4-3-3 სქემაში ცენტრფორვარდად შოთა არველაძემ უნდა ითამაშოს, ეს ამპლუა მისთვის ზედგამოჭრილია, მე კი ისეთი სტილის შემტევი ვარ, რომ ასეთ სქემაში ცენტრფორვარდად ვერ ვითამაშებ. მრჩება სამი ვარიანტი — მარცხენა ან მარჯვენა ინსაიდი, ან ფორვარდების უკან თამაში. ამ პოზიციაზე ნაკრებში ადრეც მითამაშია, ბოლო დროს „ფრაიბურგშიც“ ასე ვთამაშობდი. სხვათა შორის, ნაკრების ვარჯიშებზე ტოპმიოლერმაც გამთამაშებლობა დამაკისრა, თუმც ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან ფლანგზე დამაყენა.

— „ფრაიბურგიდან“ წასვლა რომ გინდა, კლუბი რას გეუბნება?

— როცა „ფრაიბურგში“ 150-ე ბუნდესლიგური მატჩი ვითამაშე, სტადიონზე კლუბმა ჩემი დიდი სურათი გადმომცა ფრაიბურგელების ხელმოწერით. აწ დასრულებული სეზონის პირველ წრეში მე-200 თამაშის წინაც იგივე მოხდა. „ფრაიბურგს“ ძალიან სურს, რომ დავრჩე, თუმცა ჩემ სურვილს გაგებით შეხვდნენ და მითხრეს, ნუ იჩქარებ, მოსაფიქრებლად დრო კიდევ გაქვსო. „ფრაიბურგს“ შეკრება 1 ივლისს ეწყება და, რაც მალე გადაწყდება ჩემი საკითხი, მით უკეთესი.

— „ფრაიბურგი“ ისეთ სატრანსფერო თანხას დაგადებს, რომელიც შენ მოსურნე კლუბებს დააფრთხობს?

— კონტრაქტში უკვე წერია, რა თანხა იქნება გადასახდელი და თუ რომელიმე გუნდი დააპირებს ჩემ წაყვანას, ეს თანხა არ დააბრკოლებს.

— შარშან, როცა „ფრაიბურგი“ პირველი ბუნდესლიგიდან გავარდა, „ნიურნბერგში“ შეგეძლო გადასვლა და არ გადახვედი, გვითხარი, „ნიურნბერგი“ „ფრაიბურგზე“ ბევრად უკეთესი გუნდი არ არის და ფინანსურად უზრუნველყოფილი რომ ვყოფილიყავი, კიდევ ამის გამო დავრჩი „ფრაიბურგშიო“ — ახლანდელი გადასახედიდან როგორ უყურებ ამ გადაწყვეტილებას?

— ჯობდა, გადავსულიყავი „ნიურნბერგში“ და ახლა იმასაც ვნანობ, ორი წლის წინ „ფრაიბურგთან“ სამი წლით რომ გავაგრძელე კონტრაქტი. მაშინ თითქმის ყოველდღე ხან „ფრაიბურგის“ მწვრთნელის ოთახში ვიყავი, ხან პრეზიდენტის და „ფრაიბურგი“ ვერ დავტოვე.

— ალბათ, უბრალოდ, გიჭირს, ერთი და იმავე გუნდში ამდენი წელი რომ თამაშობ...

— „ფრაიბურგში“ ექვსი სეზონი პირველ ბუნდესლიგაში ვითამაშე, სამი მეორეში — ცხრა სეზონი ცოტა ნამდვილად არ არის. ბოლო ორი თვე ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა, სეზონის ბოლო სამი მატჩი სულაც გამოვტოვე, მწვრთნელს ვუთხარი, ვერ ვითამაშებ-მეთქი, რადგან ვარჯიშებზეც ველარ ვიყავი სათანადოდ კონცენტრირებული. ბოლო ორი წელი ერთ ადგილს ვტკეპნი, ამას ვგრძნობ და თუ მინდა, რომ წინ გადავდგა ნაბიჯი, უნდა წავიდე.

— კარსმომდგარ მუნდიალზეც ვთქვათ — როგორია შენი პროგნოზი და რას ფიქრობ გერმანიის ნაკრებზე?

— ბევრს ჰგონია, რომ გერმანიის ნაკრებს შანსი არ აქვს, მაგრამ ისინი შინ თამაშობენ, ჰყავთ მიხაელ ბალაკი და მიროსლავ კლოზე, ვისაც წარმოუდგენელი სეზონი ჰქონდა — 28 გოლი და 18 საგოლე პასი. ვფიქრობ, გერმანიას შეუძლია ნახევარფინალამდე მისვლა, ჩემპიონობის ფავორიტად კი, თუ საკუთარ თავთან არ დამარცხდება, ბრაზილია მიმაჩნია. კიდევ ინგლისს უნდა ჰქონდეს საკმაო შანსი.

**დავით თავართქილაძე**

# აქ სულ ეს ამბავია

## ცხინვალი რეგიონალლიგაში?

**დამთავრდა** სეზონი, „ცხინვალი“ რის ვაი-ვაგლახით დარჩა უმაღლეს ლიგაში და... ისევ მუდმივი ჭირი — უფულობა. არადა, რამდენიმე დღის წინ გუნდში სერგო გაბელაიას მთავარ მწვრთნელად მისვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ თუ ფული არაა, საიდან...

გაურკვევლობაშია „ცხინვალის“ უფროსი ზურაბ ნასუაშვილიც, მგონი, რეგიონალლიგისკენ გზელის გზაო: „თანხა საერთოდ არ გვაქვს და ხელმძღვანელობაც არაფერს გვპირდება. მე მიხეილ ქარელს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ თუ ასე გაგრძელდა, პრობლემა არაა, რეგიონალლიგაში გადავალთ-მეთქი. ვერც დადებითი პასუხი მივიღე და ვერც უარყოფითი. ძლივს ჩავამთავრეთ წინა ჩემპიონატი, ავად თუ კარგად, დავრჩით უმაღლესში და მაინც არაა საშველი. ფეხბურთელებიც ელიან, თუმცა თუ ათ დღეში არაფერი გაირკვა, ალბათ, უმაღლეს ლიგას დავტოვებთ.“

**ილია ნანობაშვილი**

### დანია

I დივიზიონი. XXVIII ტური

ფრედერისია 5:1 ფრემადი
კოლდინგი 1:3 კიოგე
ბრაბრანდი 2:4 იოლსტიკე
ჰერფიოლგე 1:2 ფრემი
ნიკიობინგი 0:2 აკადემისკი
ვაილე 4:1 სკიოლდი

### ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური

ჰამ კამი 1:2 მიოლდე
ლინი 0:0 ვიკინგი
ოდ გრენლანდი 3:3 ფრედრიკსტადი
სანდეფიორდი 1:1 სტარტი
ტრომსიო 1:0 ლილესტრიომი
რუსენბორგი 0:0 ბრანი

I დივიზიონი. XI ტური

ჰაუგესუნდი 1:1 კონგსვინგერი
ლოვ ჰამი 1:0 ჰიოდი
მოსი 1:2 ფოლო
ჰორს გრენლანდი 1:2 ბოდიო გლიმტი
სოგნდალი 2:2 ოსლო იოსტი
სპარტა 1:0 ჰიონეფოსი
ტრიომსდალენი 1:1 ბრინი

### შვედეთი

სუპერეტა. IX ტური

ატვიდაბერგი 1:2 ნორჩიოპინგი
დეგერფორსი 0:0 ტრელებორგი
ლიუნგსკილე 2:1 ბრომაპოიკარნა
იორებრო 3:0 ვასბი
უმეა 0:2 ასირისკა

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი. V ტური

აკრანესი 0:1 ფილკირი
გრინდავიკი 0:0 ვესტმანაეიარი
ვიკინგური 3:1 ვალიური
ჰაფნარფიორდური 2:1 კეფლავიკი

# ბათუმი ინგლისში გადაწყდება

## თუ გადასაწყვეტი აღარაფერია?

**„ბათუმი“** მომავალი სეზონისთვის რომ ძლიერ გუნდს აკეთებს, ეს კლუბის ხელმძღვანელობას ხშირად უთქვამს. ზღვისპირელებს ჰყავთ ინგლისში მცხოვრები არაბი ინვესტორი, რომლის მეშვეობითაც გუნდი ზამთარშივე შეივსო კარგი ფეხბურთელებით.

გუშინ „ბათუმის“ ხელმძღვანელ ზურაბ ჯაფარიძეს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, ხუთშაბათს მივდივარ ინგლისში ინვესტორთან შესახვედრადო...

„ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცით, როგორი იქნება დაფინანსება. ინვესტორთან ერთად გეგმებს მოვხაზავთ და შესაძლებლობების ფარგლებში ვიმუშავებთ ტრანსფერებზე“ — გვითხრა ჯაფარიძემ.

შეგახსენებთ, რომ „ბათუმში“ სამი კამერუნელი მოთამაშის ჩასვლას ელიან.

თუმცა გუშინ ისიც შევიტყვეთ, რომ შესაძლოა ყველაფერს წერტილი დაესვას — ითქვა, „ბათუმის“ ეს შემადგენლობაც დაიშლება და ხელმძღვანელობაც წავა კლუბიდანო.

ასეა თუ ისე, ჯაფარიძის უცხოურ ვიზიტზე ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული...

**ილია ნანობაშვილი**

# კონცერტი ეროვნულზე, თამაში სელტიკზე

**ევრო 2008-ის** შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქე შოტლანდია, ისევე როგორც საქართველო, ციკლს ფარერებთან მატჩით იწყებს — სქოთები კუნძულელებს 2 სექტემბერს ეთამაშებიან და გუშინ გაირკვა, რომ შეხვედრის ადგილი შეიცვალა.

შოტლანდიას ფარერებთან გლაზგოში, ეროვნულ სტადიონ „ჰემპდენ პარკზე“ უნდა ეთამაშა, მაგრამ 2 სექტემბერს იქ კონცერტი გაიმართება და სქოთთა ნაკრებიც სტუმრებს გლაზგოში, ოღონდ „სელტიკის“ სტადიონ „სელტიკ პარკზე“ უმასპინძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოპმიოლერის მეტაფორები

## ნაკრები ზღვაში გასული ნავია... უბერავს ქარი

პარაგვაის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის მეორე დღეს კლაუს ტოპმიოლერს სატელეფონო ინტერვიუში 1993 წელი გავახსენეთ, როცა მორალურად გატეხილი ფრანკფურტის „აინტრახტის" ფეხბურთელებს გასახდელში ცოცხალი არწივი შეუყვანა და თვალებში ჩაახედა. სხვადასხვა სიტუაციაში მწვრთნელმა ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვადასხვა ხერხი უნდა გამოიყენოსო, გვითხრა მაშინ ჰერ კლაუსმა. „მაგალითად, პარაგვაისთან მატჩის წინა დღეს საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით..." — და ტელეფონი გაითიშა. გვიან ხელახლა დარეკვის მოგვერიდა, თუმცა ძალიან კი გვაინტერესებდა, რა მოხდა პარაგვაისთან მატჩის წინა დღეს... გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში მისულს გოგი ქავთარაძის კაბინეტში რევაზ არველაძეც დამხვდა. ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებს „ტოპისეულ გამოცანაზე" პასუხიც ვთხოვე...






ეს ის ტბაა, კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები კატარღით რომ გაიყვანა



*რევაზ არველაძე: დორნბირნის მახლობლად ტბაზე კატარღებით გავისეირნეთ და ტოპმიოლერმა ფეხბურთელებს უთხრა, სიმბოლურია — ყველა ერთ ნავში ვართ, გამარჯვებითაც ერთად გავიმარჯვებთ და დამარცხებითაც ერთად დავმარცხდებითო.*

*გოგი ქავთარაძე: თანაც იმ დღეს ტბაზე მცირე შტორმიც იყო...*

ქართულ ფეხბურთში მცირე შტორმით, აბა, ვის გააკვირვებ და თავდაპირველად გოგი ქავთარაძესთან ინტერვიუდ ჩაფიქრებული ეს შეხვედრა თანდათან ჩვენი ფეხბურთის თითქმის ყველა პრობლემურ საკითხზე საუბარში გადაიზარდა...

— ბატონო გოგი, „დინამო ინვესტის" ხელმძღვანელობამ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეროვნულ სტადიონზე ქანდის მეურნეობაში დამზადებული მინდვრის საფარის დაგება გადაწყვეტილი ამბავია. დღეს კი სრულიად საპირისპირო შევიტყვეთ...

— მოდით, ასე ვთქვათ: ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ „ეროვნულზე" ქანდის ბალახის დაგების, რადგან ის არ აკმაყოფილებს სტანდარტებს. თუკი რომელიმე თურქი ექსპერტი გარანტიას იძლევა, რომ „ფენერბაჰჩეს" სტადიონთან შედარებით ბევრად უკეთეს საფარს გააკეთებს „ეროვნულზე", ქანდით იქნება თუ უქანდოდ, ბუნებრივია, არ გავჯიუტდებით.

— იმთავითვე ითქვა, რომ წმინდა საფეხბურთო საკითხებს სტადიონის რეკონსტრუქციისას „დინამო ინვესტი" მხოლოდ ფედერაციასთან შეთანხმებით გადაწყვეტდა...

— ასეთი შეთანხმება არსებობს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ეს შეეხება არამხოლოდ მინდვრის საფარს, არამედ ტელეკამერებისთვის გამოყოფილ ადგილებს და სხვა საფეხბურთო ნიუანსებს. ხვალ ან ზეგ შევხვდებით „დინამო ინვესტის" ხელმძღვანელებს და ყველაფერს გავარკვევთ. ჩვენ ნაკრებს უხარისხო მოედანზე ვერ ვათამაშებთ.

— ქანდაზე არჩევანი ფინანსური მოტივითაც ხომ არ შეჩერდა?

— ჩემი ინფორმაციით, ქანდისა და თურქულ საფარს შორის ფასთა სხვაობა არც ისე დიდია — დაახლოებით ასი ათას დოლარამდე. როცა ეროვნული სტადიონის რეაბილიტაციაზე ამხელა თანხა იხარჯება, უმთავრესი საკითხის გადაწყვეტისას ასი ათასი გადაუჭრელ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.

— ამ მეურნეობის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი პროფესიული ფეხბურთის ლიგა იყო. ქანდის ბალახი სხვა ქართული სტადიონებისთვის თუ იქნება მისაღები?

— ვერ გეტყვით. ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს და საქართველოს ნაკრების ინტერესებიდან გამოვდივართ, სხვა სტადიონებზე საფარის დაგება კი კლუბების და ამ სტადიონების ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია.

— სხვა სამუშაოებით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— სხვა ყველაფერი კარგადაა. ერთადერთი, გამაგრების სამუშაოებთან დაკავშირებით გვექნება რამდენიმე შეკითხვა.

— ფიფამ საქართველოში „გოლი 2"-ის პროგრამა შეაჩერა, რომლითაც „ბასაში" ხელოვნურსაფარიანი მოედანი უნდა გაკეთებულიყო...

— სიმართლე გითხრათ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დღეს გამოვედი სამსახურში და ეს ინფორმაცია მეც „სარბიელიდან" შევიტყვე. სხვას ვერაფერს გეტყვით, ბატონი ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა ამჟამად შვეიცარიაში არიან და ალბათ უფრო დეტალურ ინფორმაციას მათგან შევიტყობთ.

— შვეიცარიაში ვიზიტს კონკრეტული მიზანი აქვს?

— მსოფლიო ჩემპიონატის წინ, 7-8 ივნისს უეფას კონგრესი იმართება. მეც უნდა დავსწრებოდი, თუმცა ველარ მოვახერხე. ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა კონგრესის დასრულების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნასაც დაესწრებიან და მომდევნო დღეს დაბრუნდებიან თბილისში.

— „მიხეილ მესხზე" ახალი საფარის დაგებას როდისთვის უნდა ველოდოთ?

— სანამ ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები მიმდინარეობს, „მიხეილ მესხზე" საფარის გამოცვლა პრაქტიკულად გამორიცხულია — ჩვენს გუნდებს ევროტურნირებზე აქვთ სათამაშო და მეტი სტადიონი ამ ეტაპზე არ გვაქვს. „მიხეილ მესხზე" საფარის გამოსაცვლელად ოპტიმალური ვადა ალბათ მომავალი წლის მარტი-ივნისი იქნება.

— კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუ კი გავახერხეთ, მაგრამ ერთია საგაზეთო განცხადება, მეორე — ემოცია, რომელსაც თქვენთან საუბარში გამოხატავდა...

— ტოპმიოლერი კმაყოფილებას არ მალავდა, რადგან თუნდაც ახალ ზელანდიასთან მატჩთან შედარებით, პარაგვაისთან პროგრესი აშკარა იყო. ბუნებრივია, მარცხი არასოდეს იძლევა კმაყოფილების საბაბს, მაგრამ ამ შემთხვევაში ანგარიშზე მნიშვნელოვანი სხვა კრიტერიუმები იყო.

— საქართველოს ჩემპიონატიდან ნაკრების 25-კაციან სიაში მხოლოდ ზურაბ იონანიძე მოხვდა, არადა, ვერავინ იტყვის, ტოპმიოლერმა ჩვენი კლუბების თამაშები არ ნახაო...

— ასეთია რეალობა, რომელსაც ვერ გავექცევით. ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ ტოპმიოლერმა საქართველოში მოთამაშე რომელიმე ფეხბურთელს მასზე სუსტი ლეგიონერი ამჯობინა — შეკრებაზე, ალბათ, მართლაც საუკეთესოები გვყავდა. ისიც სათქმელია, რომ ლეგიონერთაგან რამდენიმე ახალი გადასულია ახალ კლუბში. თუნდაც ოთარ მარცვალაძე საქართველოს ჩემპიონატში არ იქცა იმ მოთამაშედ, ტოპმიოლერმა ნაკრებში რომ მიიწვია?!

— კარგი იქნებოდა, ოფიციალურ შეხვედრებამდე კიდევ ერთი ამხანაგური მატჩიც გვქონოდა...

— ყოველი ასეთი მატჩის ორგანიზებას უამრავი დრო და დეტალების შეთანხმება სჭირდება. ბუნებრივია, კარგი იქნებოდა, მეტი ამხანაგური გვეთამაშა. მთავარია, ოფიციალურ შეხვედრებამდე წაგებულის ფსიქოლოგია მოვიშოროთ. ასეთ შემთხვევაში, თითოეული ფეხბურთელი, რაც შეიძლება, მეტად წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს და შედეგიც სხვაგვარი გვექნება.

**გიორგი ნოზაძე**


ჯაბა კანკავას (მარჯვნივ) „არსენალის“ პრობლემები არ აშინებს

კიევის „არსენალს“ ფინანსური პრობლემები აქვს და შესაძლოა, სულაც უმაღლესიდან პირველ ლიგაში დააქვეითონ — წერს უკრაინული პრესა. „არსენალი“ ახლა ისვენებს, ჯაბა კანკავაც თბილისშია და ჩვენთან საუბარში არ გამორიცხა, რომ სხვა გუნდის ვარიანტიც აქვს.

ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩები: ცხადია, კანკავას საქართველოს ნაკრების მიერ გერმანია-ავსტრიაში ჩატარებულ ორ სპარინგზეც ვკითხეთ, თავიდან კი „არსენალით“ დავიწყეთ...

# სად არსენალი და სად ტოპმიოლერი

## ჯაბა კანკავა: კიევში დეკემბრამდე გავძლებ

— ჩემი მენეჯერი მამუკა ჯულელი ამჟამად კიევშია და არკვევს, რა ხდება „არსენალში“. ბოლოს რომ ვესაუბრე, მითხრა, ყველაფერი კარგადაა, მით უმეტეს, პირველ ლიგაში დაქვეითებაზე არავინ ლაპარაკობსო. არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს.

— „არსენალთან“ დეკემბრამდე გაქვს კონტრაქტი. კლუბმა რომ პრობლემები მოაგვაროს, უეჭველად დარჩები კიევში თუ სხვა ვარიანტები გამოგიჩნდა?

— თუ ცუდი არაფერი მოხდა, „არსენალში“ დეკემბრამდე დავრჩები და მერე წავალ. შემიძლია კონტრაქტის გახანგრძლივება, მაგრამ იქ დიდხანს დარჩენა არ მინდა. არის შვეიცარიულ „ციურიხში“ გადასვლის შანსი და ვნახოთ... მეტი არაფერი ვიცი...

— ნაკრებზეც ვთქვათ: ახალ ზელანდიასთან არ გითამაშია, პარაგვაისთან კი საკმაოდ აქტიური იყავი...

— ვფიქრობ, პარაგვაისთან თამაში ნორმალურად გამომივიდა. უკეთესადაც შემეძლო, მაგრამ მწვრთნელის დავალება, მგონი, შევასრულე. წაგებაზე გული დამწყდა, მაგრამ თამაშის ხარისხი, ჩემი და მთლიანად ნაკრებისაც, ცუდი არ იყო.

— ანუ ფიქრობ, რომ ნაკრებს პროგრესი ეტყობა?

— ჩემი აზრით, კი. ყოველ შემთხვევაში, კლაუს ტოპმიოლერი კმაყოფილი დარჩა. ყველას მადლობა გადაგვიხადა. ან კი იყო წასაგები თამაში? არანაირად — სულ ცოტა, ფრე გვეკუთვნოდა, იმდენი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ...

— ტოპმიოლერს ყველა ფეხბურთელი აქებს: ის მართლაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, მაგრამ კონკრეტულად რას ანიჭებს უპირატესობას თამაშში, რაზე ამახვილებს ხოლმე ყურადღებას?

— ტოპმიოლერის სიძლიერეზე, მგონი, ლაპარაკიც ზედმეტია: მაგალითად, კიევის „არსენალისა“ და საქართველოს ნაკრების ვარჯიშებს ვერც შევადარებ — უკრაინაში უმეტესად ბრძოლას აქცევენ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ბრძოლას და გამძლეობას ტოპმიოლერიც აქცევს ყურადღებას, მაგრამ ის უფრო მრავალფეროვნად უდგება ვარჯიშსა თუ თამაშს — ბურთის გორება, ინდივიდუალიზმი, იმპროვიზაცია... ამასთან, ტოპმიოლერი ტაქტიკურადაც მაღალი დონის მწვრთნელია, დალაგებულ ფეხბურთს გვათამაშებს და მჯერა, მომდევნო მატჩებში ეს უფრო და უფრო დაგვეტყობა.

**ილია ნანობაშვილი**

# პაჭელოს კუნთმა ავსტრია ააცილა

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ 20 წლის ქართველ ფორვარდ გიორგი ჭელიძეს კვლავაც ტრავმა აწუხებს და დიდი შანსია, დღეს გუნდს ავსტრიულ შეკრებაზე ვერ გაჰყვეს. თუ არ გახსოვთ, გეტყვით, რომ ჭელიძემ შუა მაისში კუნთი გაიწყვიტა და მას შემდეგ დღემდე მკურნალობს.

რკინიგზელი ექიმების ცნობით, ტრავმა არც ისე საშიშია, თუმც მკურნალობას დრო სჭირდება. წესით, ჭელიძემ ერთ კვირაში უნდა შეძლოს ვარჯიშის დაწყება.

**კახა შალამბერიძე**


გიორგი ჭელიძე (№55) ვარჯიშს ალბათ ერთ კვირაში დაიწყებს

# ბოლნისს იმედი დაუბრუნდა

## სიონი ჩემპიონთა ლიგას არ ეშვება



ბადრი ქაქიაშვილის ფოტო

**ბოლნისის** „თამაზ სტეფანიაზე“ რეკონსტრუქცია გრძელდება და კლუბის ხელმძღვანელებს ეიმედებათ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრისთვის თბილისში წასვლა არ მოუწევთ. იგება ახალი მინდორი, კეთდება თანამედროვე პრესლოჟა, გასახდელები და ასე შემდეგ.

„დღეს უეფაში ვაგზავნით ფაქსს, რომ „სიონს“ სურს, ლიგის თამაში შინ ჩაატაროს. უეფას კომისია დაახლოებით თვის ბოლოს ჩამოვა ბოლნისში, დაათვალიერებენ სტადიონს და, სავარაუდოდ, „თამაზ სტეფანიაზე“ თამაშის ნებას დაგვრთავენ. თუ არადა, თბილისის „მიხეილ მესხის“ ვარიანტიღა გვრჩება“ — გვითხრა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

რაც შეეხება ახალი ფეხბურთელების დამატებას, „სიონი“ კვლავ ელის სამ კამერუნელს და ერთ ნიგერიელს, ხოლო დღეს კლუბი ახალ კონტრაქტებს გაუფორმებს თავის მოთამაშეებს და უფრო თამამად დაიწყებს ტრანსფერებზე მუშაობას.

**ილია ნანობაშვილი**

# საბავშვო ფინალები

საქართველოს 2005-06 წლების ჩემპიონატში, ჭაბუკთა ოთხ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონების გამოსავლენად ერთმანეთს ხვდებიან:

**1988 წელს დაბადებულნი** (9 ივნისი)

ფინალი

„ოლიმპიკი“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)

მე-3 ადგილისთვის

თს აკადემია (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი)

**1989 წელს დაბადებულნი** (7 ივნისი)

ფინალი

35-ე სკოლა (თბილისი) — „შევარდენი“ (ქუთაისი)

მე-3 ადგილისთვის

„მთვარის გლობუსი“ (თბილისი) — „კახაბერი“ (ხელვაჩაური)

**1990 წელს დაბადებულნი** (6 ივნისი)

ფინალი

„ოლიმპიკი“ (თბილისი) — „კოლხიდა“ (ქუთაისი)

მე-3 ადგილისთვის

„ნორჩი დინამოელი“ (თბილისი) — „მემორიალი“ (ქუთაისი)

**1991 წელს დაბადებულნი** (8 ივნისი)

ფინალი

„ნორჩი დინამოელი“ (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი)

მე-3 ადგილისთვის

ორს (თბილისი) — „დინამო“ (ქუთაისი)

*თამაშები ჩატარდება თბილისში, „შევარდენის“ სტადიონზე.*

გივი ჩოხელის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველისა და ვიტალი დარასელიას სახელობის სუპერთასებისთვის ხსენებულ ასაკობრივ ჯგუფებში ჩემპიონატის გამარჯვებულნი ჭაბუკთა ლიგის ჩემპიონებს დაუპირისპირდებიან:

**გივი ჩოხელის სახელობის სუპერთასი** (15 ივნისი)

1988 წელს დაბადებულთა ჩემპიონი — თბილისის „დინამო“ (1988)

**მიხეილ მესხის სახელობის სუპერთასი** (18 ივნისი)

1989 წელს დაბადებულთა ჩემპიონი — თბილისის „დინამო“ (1989)

**სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასი** (14 ივნისი)

1990 წელს დაბადებულთა ჩემპიონი — თბილისის „დინამო“ (1990)

**ვიტალი დარასელიას სახელობის სუპერთასი** (16 ივნისი)

1991 წელს დაბადებულთა ჩემპიონი — „თბილისი“ (1991)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზიდანის დამსმელი



**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა პირობა დადო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შეგულებულ სასტარტო შემადგენლობას ფარდას ჩინეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ახდის, ოღონდ ერთი პირობით, მასში არ იქნება გამოკვეთილი დებიუტანტი ყმაწვილკაცის, ფრანკ რიბერის ამბავი.

ჩინეთთან საფრანგეთი ოთხშაბათს სენტ ეტიენში თამაშობს და ჟურნალისტებს ეჭვი აქვთ, რომ ამ შეხვედრის ძირითადი შემადგენლობა 13 ივნისს, შვეიცარიისთვის გამზადებულ შემადგენლობას დაემთხვევა. მოგეხსენებათ, შვეიცარიასთან მატჩი უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის G ჯგუფისა იქნება.

„დიახ, შესაძლებელია სწორედ ასე იყოს — თქვა დომენეკმა — თანამედროვე ფეხბურთში შემადგენლობის დამალვას იმდენი აზრი აღარ აქვს, ადრე რომ ჰქონდა“.

დასამალი არაფერია, რომ საზოგადოებას მთლიან შემადგენლობაზე არანაკლებ აინტერესებს რიბერის ამბავი, თუმცა იმის გარანტია, რომ ამ ყმაწვილისთვის ჩინეთთან თამაშში მონაწილეობა ავტომატურად ნიშნავს შვეიცარიასთან თამაშსაც, ბუნებრივია, არ არსებობს. სავარაუდოდ, მექსიკასა და დანიასთან თავგამოჩენილი ნახევარმცველი, მუნდიალის შეხვედრებშიც შეცვლაზე მეტეორივით შევარდნილი, დაღლილი მეტოქის ამრევის როლს შეასრულებს. და მაინც, საფრანგეთში ამ 23 წლის ახალგაზრდას უკვე თავისი ფანები ჰყავს და ისინი ამტკიცებენ, რომ რიბერი ამ ჩემპიონატზე სათადარიგო სკამზე თვით ზიდანს დასვამს.

საფრანგეთის ნაკრების მცველი ვილი სანიოლი: „ვისაც ეს სწამს, ფეხბურთისა არაფერი გაეგება. ფრანკი კარგი ფეხბურთელია, რომელსაც შეუძლია ძალიან კარგი ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ, აბა, ზიზუსთან რა ხელი აქვს? ისინი სხვადასხვა ამპლუისანი არიან და უმალ ერთდროულად შეუძლიათ მოედანზე ყოფნა“.

კარში ფაბიენ ბარტეზი იდგება. დომენეკმა დიდი ხანია გამოაცხადა, რომ გრეგორი კუპეზე წინ ბარტეზს აყენებს და ამ თემასთან დაკავშირებით ერთი აყალმაყალი „ლურჯების“ ბანაკმა უკვე გადაიტანა.

დაცვაში სანიოლსა და აბიდალს შორის ტურამი და გალასი უნდა ვივარაუდოთ.

ნახევარდაცვაში ჩამშლელებად ულაპარაკოდ მაკელელე და ვიეირა აქნებიან გამწესებულნი, აქეთ-იქიდან კი მალუდა და ზიდანი იბოდიალებენ.

ხოლო, თავდასხმაში ანრის წყალი არ გაუვა, მერე პოზიციისთვის კი ტრეზეგე და საა იბრძვიან.

სავარაუდოდ ასეა, სინამდვილეში კი დომენეკი გაგვარკვევს. დაგვეთანხმებით, ქაღალდზე საფრანგეთის ნაკრები ძლიერია, მაგრამ განა ოთხი წლის წინაც ასე არ იყო?

„ჩვენ ახალ ცხოვრებას ვიწყებთ და მწამს, ეს ჩემპიონატი საუცხოო იქნება“ — ამბობს ვიეირა. ვისაც უნდა დაუჯეროს.

**ბაკუნა ძედია**



# ქუჩის ბიჭები

## საჭმლის შემოტანა სასტიკად აკრძალულია

**თუ ბერლინელები** ქუჩაში მიხაელ ბალაკს შეხვდებიან ან დაინახავენ, როგორ უკვეთავს ოლივერ კანი ოფიციანტს ყავას, არ უნდა გაოცდნენ — გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, იურგენ კლინსმანმა, თავის ფეხბურთელებს ვარჯიშებისა და თეორიული მეცადინეობისგან თავისუფალ დროს ქალაქში სეირნობის უფლება მიანიჭა.

„როგორც უნდათ, ისე იარონ ბერლინის ქუჩებში — ბრძანა მწვრთნელმა, რომელიც ფეხბურთელობის დროს სამჯერ იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე — თუ უნდათ, გუნდთან ერთად კი არა, თვითონ მიირთვან საჭმელი, ოღონდ აქ, სასტუმროში კატეგორიულად არ უნდა შემოიტანოს არავინ.“

გერმანიის ნაკრები გუშინ ჩავიდა ბერლინში, სადაც პარასკევს კოსტა რიკას ხვდება. სასტუმრო, რომელშიც „ბუნდესნაკრები“ მოეწყო, ერთ-ერთი ყველაზე მდიდრულია და მის განახლებაზე 1990-იან წლებში ცნობილმა დიზაინერმა კარლ ლაგერფელდმა იზრუნა.

„ეს ბერლინის პატარა ოაზისია“ — თქვა კლიმანსმა.

სასტუმროში ყველაზე მდიდრულ ნომერს „კაიზერ ზუიტე“ ჰქვია და ღამეში 3 ათასი ევრო ღირს.

**ბაკუნა ძედია**


ქართულ-ამერიკული რესტორანი

„ვერა სტეიკჰაუსი“






მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხბურთში დიდ ეკრანზე და VIP დარბაზში, მიირთვით მანუელის ექსკლუზიური კერძები და გაატარეთ სასიამოვნო საღამო

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: მ. კოსტავას ქ.37ა, ვერის ბაღი, ჭადრაკის სასახლის I სართული

ტელ: 98-37-67, 893-63-03-52

www.verasteakhouse.ge

# რაიკარდი ლარსონს ისლანდიაში ეძებს

„ბარსელონას“ თავკაცები კვლავაც გუნდიდან წასული ჰენრიკ ლარსონის შემცვლელი ძიებაში არიან. აქამდე ყველაზე რეალურ კანდიდატად „ვილიარეალის“ დიეგო ფორლანს მიიჩნევდნენ, მაგრამ რადგანაც „ყვითლებთან“ მოლაპარაკება გაჯანჯლდა, ხუან ლაპორტასა და მის აგენტებს სხვა მოიერიშეთა დაზვერვაც მოუწიათ.

ეიდურ გუდიონსენი, ლონდონის „ჩელსის“ ისლანდიელი მოთამაშეა „ბარსას“ სატრანსფერო სამიზნეზე. ესპანური მედიის ცნობით, გუდიონსენის სათამაშო სტილი კატალონიელთა მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს განსაკუთრებით მოსწონს.

ისლანდიელში „ბარსელონას“ ორი ევროპული გიგანტი, მადრიდის „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეცილება. მანჩესტერელები მზად არიან, გუდიონსენის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადონ. საერთოდ, ფეხბურთელის „ჩელსისთან“ კონტრაქტის გაუქმება 23 მილიონი ევრო ღირს, თუმცა ესპანურ და ინგლისურ მედიაში ეწერა, რომ „ჩელსი“ მოლაპარაკების დაწყებაზე თანახმაა და „მანჩესტერსაც“ და „ბარსასაც“ სასურველი მოთამაშის შედარებით ნაკლებ ფასად ყიდვის თანაბარი შანსები აქვთ. კატალონიელები ეიდურ გუდიონსენს სამწლიან კონტრაქტს და სეზონში 3,2 მილიონ ევროს ჰპირდებიან.

ისლანდიელი „ჩელსიში“ 2000 წლის ზაფხულში, მაშინდელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ „ბოლტონიდან“ მიიყვანა. ლონდონელთა შემდგომმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ გუდიონსენისა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკისგან გამანადგურებელი ტანდემი შექმნა — ძირითადად ეიდურის ზუსტი პასების წყალობით ჯიმი ბომბარდირი გახდა 2000-01 წლების პრემიერლიგაში (23 გატანილი ბურთით). თავად გუდიონსენმა იმ სეზონში პრემიერლიგაში 10, ხოლო სათასო მატჩებში 3 გოლის შეგდება შეძლო. ისლანდიელმა ყველაზ მეტი 2001-02-ის სეზონში გაიტანა. პრემიერლიგაში, უეფას თასზე და ინგლისურ სათასო შეხვედრებში მეტოქეთა კარი 24-ჯერ დალაშქრა. 2005-06-ის სეზონი ჟოზე მაურინიუს ტაქტიკური ჩანაფიქრების გამო (თავდასხმიდან ნახევარდაცვაში გადაისროლა ეიდური) გოლმწირი გამოდგა „ბარსასა“ და „მანჩესტერის“ სადავო კაცისთვის — ორი შეაგდო პრემიერლიგაში და ერთიც თასზე.




ეიდურ გუდიონსენი

დასასრულს, ისიც აღვნიშნოთ, რომ ეიდურ გუდიონსენს ისლანდიის ნაკრებში ერთი გოლის გატანა სჭირდება, ეროვნული გუნდის ისტორიაში მთავარმეგოლე რიკარდურ იონსონს რომ გაუტოლდეს. იონსონმა 1947-65 წლებში 17 გოლით იხეირა, ეიდურის ანგარიშზე კი ამჟამად 16-ია.

**ლადო ხომერიძე**

# ილაჯგაწყვეტილი სად მეცალა გერმანიისთვის

**იმ 23 ფეხბურთელიდან, მუნდიალზე მექსიკის ნაკრების ღირსება რომ უნდა დაიცვან, მეკარე ოსვალდო სანჩესს სათადარიგოებში ყურყუტი ყველაზე ნაკლებად ემუქრება. „გვადალახარას“ 31 წლის გოლკიპერი გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატს საუკეთესო ფორმაში ხვდება. სწრაფი და გონიერი მეკარე მუნდიალზე, ალბათ, მექსიკელთა ყველაზე სტაბილური მოთამაშე იქნება. ოსვალდო სანჩესმა მსოფლიოს პირველობის დაწყებამდე სამი დღით ადრე FIFA.COM-ს მისცა ინტერვიუ**

**— თქვენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლებით. ფიქრობთ, რომ მუნდიალზე წარმატება გელით?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა, მადლობა გითხრათ ასეთი სასიამოვნო სიტყვებისთვის. რასაკვირველია, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლა მსურს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მექსიკის ნაკრების გამარჯვებაა.

**— მექსიკის ეროვნულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე რა ეტაპამდე შეიძლება, გააღწიოს?**

— შესანიშნავი გუნდი გვყავს, ფეხბურთელთა დონე მაღალია და ასეთი ნაკრებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონობა გვსურს და ამისთვის თავს არ დავზოგავთ.

**— რა გაძლევთ ასე დარწმუნებით ლაპარაკის საბაბს?**

— როგორც უკვე გითხარით, ფეხბურთელთა მაღალი დონე და ამასთანავე ნაკრებში ბრწყინვალე, მეგობრული ატმოსფერო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**— ანუ თქვენი აზრით, მოვიდა დრო, როცა მექსიკამ ტრადიციული ბარიერი, მეოთხედფინალი უნდა გადალახოს...**

— ამის ალბათობა დიდია. თუმც მეტოქეები იოლი არ გვყავს, ბრძოლა ჯგუფშივე იწყება.

**— ხალხს ძალიან სჯერა ამჟამინდელი მექსიკის ნაკრების...**

— დიახ, სჯერა და ეს ჩვენც ვიცით. ინჩასებს მექსიკის იმედი ტყუილად როდი აქვთ. ჩვენი სიძლიერე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევებში და კონფედერაციათა თასზე გამოჩნდა. ახლა ხალხის სიყვარულს მუნდიალზე კარგი თამაშით უნდა ვუპასუხოთ.

**— კონფედერაციათა თასი ახსენეთ. გერმანიაში ჩატარებულმა ტურნირმა ამ ქვეყნის უკეთ გაცნობის საშუალება მოგცათ...**

— მთლად ასეც არაა. მაშინ ცოტა დრო მქონდა ქვეყნის გასაცნობად, კონფედერაციათა თასზე ვიყავით გადართულნი. იმედია, მუნდიალზე გერმანულ კულტურასთან დაახლოებას უკეთ მოვახერხებ.

**— ვინც ნაკლებად გიცნობთ, ოსვალდო სანჩესის ხასიათის ძირითად თავისებურებებს როგორ აღუწერდით?**

— ძალიან ბევრს ვშრომობ... აი, რაც შემიძლია, გითხრათ. ვარჯიშებიდან ილაჯწართმეული ვბრუნდები. დანარჩენი კი მუნდიალზე ჩემმა გულშემატკივრებმა შეაფასონ. იმედია, ოსვალდო მოეწონებათ...



# ტურინის იუვენტუსის ფრენბურთელთა გუნდი



ჯან პაოლო მონტალი

**იტალიის** ფრენბურთელთა ნაკრების მწვრთნელი ჯან პაოლო მონტალი სენსაციურად დაუკავშირეს „იუვენტუსს“. ამბობენ, იგი ტურინელთა დირექტორთა საბჭოში იქნებაო. მეტიც, თურმე არც ისაა გამორიცხული, მას „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტობა შესთავაზონ.

„იუვენტუსი“ ყოველთვის ექსტრაორდინალური ხელმძღვანელობით გამოირჩეოდა და, როგორც ჩანს, კლუბის ახლანდელი მფლობელები, ჯონ ელკანი და ანიელების ოჯახის სხვა წევრები, ამ ტრადიციის დარღვევას არ აპირებენ. ამბობენ, ელკანი უკვე არაერთხელ ესაუბრა მონტალისო, მაგრამ რაზე შეთანხმდნენ, ჯერ უცნობია.

„ბებერი ქალბატონის“ ახალი შეფების ვინაობა 14 ივნისს გაცხადდება. 29 ივნისს კი ტურინელთა აქციების მფლობელები შეხვდებიან ერთმანეთს და სამომავლო გეგმებზე ისაუბრებენ.

რაც შეეხება ჯან პაოლო მონტალის, იგი 46 წლისაა, საკმაო ხანია, წარმატებით წვრთნის ფრენბურთელთა ნაკრებს და მასთან კონტრაქტი 2009 წლამდე აკავშირებს. იგი პარმაშია დაბადებული და „ფიორენტინას“ ქომაგობს.

საინტერესოა, რომ იტალიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ფრენბურთში მომუშავე კაცი ფეხბურთში ინაცვლებს. თავის დროზე ხულიო ველასკოს მცირე წარმატებით „ლაციოსა“ და „ინტერში“ უმუშავია.

ამასობაში „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების მცველმა ფაბიო კანავარომ აღნიშნა, რომ ლუჩანო მოჯი არასოდეს დაუცავს და მის სიტყვებს ჟურნალისტებმა სხვანაირი ინტერპრეტაცია მისცეს. საქმე მის ცოტა ხნის წინანდელ კომენტარებს ეხება, როდესაც 33 წლის ფეხბურთელმა შარში გახვეული მოჯი შეაქო. ამის მერე ბევრი იმასაც ითხოვდა, კანავაროს „სკუადრა აძურას“ კაპიტნის სამკლავური ჩამოართვით, ასეთი კაპიტანი არ უნდა გვყავდესო.

ფაბიო კანავარო: „დასამალი არაფერი მაქვს. ჩემს წინააღმდეგ კამპანია ააგორეს, რათა კაპიტნის სამკლავური წაერთმიათ, მაგრამ ამაზე არ ვღელავ. რაც მთავარია, მწვრთნელი და თანაგუნდელები გვერდში მიდგანან. ჩემ სიტყვებს არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს. არც მოჯი დამიცავს და არც არავინ. პირიქით, გარკვევით ვთქვი, ვინც შეცდომა დაუშვა, უნდა დაისაჯოსმეთქი. რაც შეეხება კონკრეტულად მოჯის მუშაობას „იუვენტუსში“, დადებითად ვაფასებ. იგი გუნდში თავის საქმეს კარგად აკეთებდა და ეს ფაქტია“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ბლატერმა იდაყვს იდაყვი ჰკრა

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მივლენილ მსაჯებს იდაყვის ქნევის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობისკენ მოუწოდა. ეს ამბავი ფრანკფურტში მოხდა, სადაც პრეზიდენტმა არბიტრებთან ორი დღე დაჰყო.

„მე მათ მხოლოდ ერთი დავალება მივეცი — უამბობდა შემდეგ ბლატერი ჟურნალისტებს — მსურს ფეხბურთი და კარგი ფეხბურთელები ისეთი დემონური ილეთისგან დაიცვან, იდაყვის მირტყმა რომ არის. ეს ის სიტუაციაა, როდესაც ამხტარი მოთამაშე ხელებს სხეულთან კი არ იჩერებს, არამედ იდაყვს იქნევს“.

ბოლოს ბლატერმა ზოგადად მსაჯთა მომზადებაზე ბრძანა:

„დღეს, მსაჯებზე მეტი, მათი მომზადების სპეციალისტი და კონტროლიორია“.

**პაპუნა ძედია**

რეკლამა სარბიელ-ში
ტელ:38-11-14, 877 54 55 00

# ანალიტიკოსი როსი: შური და ეჭვი ფეხბურთს ვერ ითამაშებენ

*მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი და გმირი, იტალიელი პაოლო როსი ამბობს, რომ მარჩელო ლიპის „სკუადრა აძურას“ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატების მიღწევაში საბრძოლო სულისკვეთება და თავდამსხმელთა მაღალი დონე დაეხმარება. 24 წლის წინანდელ მუნდიალზე ექვსი გოლის ავტორის — რომელთაგან სამი ბრაზილიის ნაკრებს გაუტანა — მიაჩნია, რომ ყველაფერი იმ ატმოსფეროზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც გუნდი გასახდელში შექმნის.*



პაოლო როსი

„ეჭვგარეშეა, რომ მთელი გზის გასავლელად მაღალი დონის ფეხბურთელებია საჭირო, მაგრამ ამასთან გუნდური სულიც ძალიან მნიშვნელოვანია. საკუთრივ ფეხბურთელებს შორის არ უნდა იყოს შური და ეჭვი. ჩემპიონატზე გაიმარჯვებს გუნდი, რომლის მოთამაშეებიც ერთმანეთს მხარში ამოუდგებიან, ეს კი სწორედ ის თვისებებია, 1982 წლის იტალიის ნაკრებს ჭარბად რომ ჰქონდა. მაშინ ჩვენ ყველანი მეგობრები ვიყავით და მიზანიც ერთი გვქონდა. სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანები ჩემპიონები ვერ გახდებიან“ — უთხრა როსიმ სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს.

1982 წელს ჩემპიონატი ესპანეთში ჩატარდა. იტალიის ნაკრებს ჯგუფური ეტაპის შეხვედრებში საკმაოდ გაუჭირდა და რაა გასაკვირი, რომ როგორც მთელ გუნდს, ასევე საკუთრივ როსის, იმ დღეებში გვარიანი კრიტიკის მოსმენა და წაკითხვა მოუხდათ.

დღეს ყოფილი იუვენტუსელი ტელეკომპანია „სკაი სპორტის“ იტალიურ განშტოებაში ანალიტიკოსად მუშაობს და ამბობს, რომ ხანდახან, პრესისა და ქომაგების უარყოფითი განწყობა გუნდის შეკავშირებას უწყობს ხელს.

„დიახ, ეს ეხმარება. კრიტიკა სულისკვეთებას ამტკიცებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გუნდში მაღალი დონის ფეხბურთელები და, იმავდროულად, მტკიცე ხასიათის პიროვნებები გყავს. საქმე ისაა, რომ როდესაც გუნდი კარგად ვერ თამაშობს, მას აკრიტიკებენ და ეს ფეხბურთელებმა კარგად უნდა იცოდნენ. კრიტიკა გუნდს თან სდევს, მას ყველა უნდა შეეგუოს. კრიტიკასთან შეუგუებლობის გამო, მოედანზე აღელვებული გასვლა დაუშვებელია. გუნდის ყოველი წევრი მზად უნდა იყოს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად“.

შემდეგ კი პაოლო როსიმ გამოცდილებაზე გადაიტანა საუბარი და თქვა, რომ კრიტიკის დაძლევაში ფეხბურთელს ის ძალიან ეხმარება.

„1982 წლის იტალიის ნაკრებში ბევრი ფეხბურთელი გვყავდა 1978 წლის მუნდიალის გამოცდილებით და მათმა ცოდნამ ჩვენს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა“ — თქვა თავდამსხმელმა.

მაშ ასე, მაზეგ გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელზეც „სკუადრა აძურა“ 18 წაუგებელი მატჩით ჩადის.

„დიახ — ამბობს პაოლო როსი — იტალიის ნაკრებს წელიწადნახევარია არ წაუგია, ეს კი გარკვეულ დონეზე მიუთითებს. შემთხვევით წელიწადნახევარს წაუგებლად ვერ გაატარებ და ამიტომაც მწამს, რომ დიდი შანსია გერმანიაში ჩვენთვის დიდებული პირველობა შედგეს. ერთადერთი გუნდი, რომელიც სხვებს ცოტათი სჯობს, ბრაზილიაა, შემდეგ კი ძლიერი გუნდების თანაბარი ჯგუფი მოდის“.

დაბოლოს, პაოლო როსი შიშობს კიდეც. მას მიაჩნია, რომ იტალიის ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფრანჩესკო ტოტის კარგ ფორმაში ყოფნაა, „რომას“ კაპიტანმა კი, მოგეხსენებათ, კოჭის ოპერაციის შემდეგ სულ ახლახან „გამოიხედა თვალებში“.

„ლუკა ტონი კი ჩინებული ფეხბურთელია. მან ბოლო ორ წელიწადში ძალიან მოუმატა თამაშს, მაგრამ ის ერთადერთი არ არის. მის გარდა არიან ფილიპო ინძაგი, ალბერტო ჯილარდინო და ალესანდრო დელ პიერო, ამას კი, იმედი მაქვს ჯანმრთელი ტოტი დაემატება“.

**ბაჰუნა ძედია**





# კრუიფმა ერიქსონს ინგლისი დაუღეჭა

*წერილს, რომელსაც გთავაზობთ, დიდი შესავალი არ სჭირდება, რადგან იოჰან კრუიფის დაწერილია და **News Of The World**-ში გამოქვეყნდა. დიდი ჰოლანდიელი ვარსკვლავი ინგლისის ნაკრებს განიხილავს და ასკვნის, რომ...*

**თუ** ინგლისის ნაკრებს ამ ჩემპიონატზე მართლა უნდა რაიმეს მიღწევა, მაშინ სვენ-გორან ერიქსონმა და მისმა ფეხბურთელებმა უეინ რუნი უბრალოდ უნდა დაივიწყონ.

ფაქტია, ის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, რომელსაც არაფრისგან გოლის შექმნა შეუძლია. რუნის ბურთის ნახევარდაცვაში მიღება და ერთი, ორი, სამი, თუნდაც ოთხი მოწინაალმდეგის ჩამოტოვება და გოლის გატანა ეხერხება, მაგრამ ეს ბიჭი დაშავებულია და მთელ ინგლისში არავინ იცის, როდის იქნება მზად. ისიც კი არ არის ცნობილი, შეძლებს თუ არა რუნი ჩემპიონატის მეორე ნახევარში მონაწილეობას.

ასე რომ, ის უნდა დაივიწყონ. ამ ეტაპზე ინგლისის ნაკრები უნდა მოიქცეს და მოემზადოს ისე, თითქოს რუნი არც ჰყოლია. მწვრთნელმა გუნდი რუნის გარეშე ჩემპიონატზე უნდა გადააწყოს როგორც ტაქტიკურად, ასევე მენტალურად. საამისოდ ერიქსონს დიდი დრო ჰქონდა და წესით ინგლისის ნაკრებს ყველანაირი ალტერნატიული გეგმა უკვე მზად უნდა ჰქონდეს, ხოლო თუ არ აქვს, გამოდის, რომ საკუთარი წარმატება დიდი რისკის ქვეშ დაუყენებია.

## მოვალეობა

ერთი სიტყვით, გაუთავებელი საუბარი უეინ რუნის შესაძლო გამოჯანმრთელებაზე, ყურადღების ფანტვაა და მეტი არაფერი. მეტიც, ყურადღება შესაძლოა უკვე გაფანტულიცაა, მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ამბავი შესაძლოა წარუმატებლობის ასახსნელადაც და თავის გასამართლებლადაც გამოდგეს.

არადა, იმის თქმა, რომ რუნი არ გვყავდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ამიტომ ვითამაშეთ ცუდად, სისულელე იქნება. სისულელე იქნება, რადგან თავის გასამართლებლად არ გამოდგება — რუნი ხომ პირველი შეხვედრის მეხუთე წუთზე არ დაშავებულა. ის დაშავდა ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე და ამის შესახებ მთელმა დედამიწამ იცოდა, უპირველესს ყოვლისა კი მწვრთნელმა. ამიტომაც ვამბობ, რომ ინგლისის ნაკრების რუნის გარეშე ათამაშება და წარმატების მიღწევა სწორედ მისი მოვალეობაა. დაუშვებელია მსოფლიოს ჩემპიონატზე უარყოფითი განწყობით გაემგზავრო. ეს წაგების გარანტია იქნება.

ანკი, რატომ უნდა გაემგზავროს ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე აურყოფითი განწყობით? ის ხომ ერთი კაცის გუნდი არ არის, რუნის გარეშე ნულს რომ გაუტოლდეს. გადაიკითხეთ ინგლისელი ფეხბურთელების გვარები და ნახავთ, რომ მათ ბოლო წლების საუკეთესო შემადგენლობის გამოყვანა შეუძლიათ. მათ ჰყავთ მაიკლ ოუენი, ფრენკ ლამპარდი, სტივენ ჯერარდი, დევიდ ბექემი, ჯონ ტერი და რიო ფერდინანდი. გადახედეთ გუნდს და ნახავთ, რომ ის ყველა რგოლში ძლიერია. ინგლისელებს ჩინებული მეკარე პოლ რობინსონი ჰყავთ, მის წინ კი დიდებული დაცვა დგას — რა მნიშვნელობა აქვს ტერის, ფერდინანდსა და სოლ კემპბელს შორის რომელზე შეჩერდება კონკრეტული არჩევანი.

## ჭკვიანი და სწრაფი

თავდასხმაში ოუენია. მისი თავდაჯერებული სტილი ძალიან მიყვარს. თვით ის ფაქტი, რომ ოუენი დაშავებული იყო, მის წისქვილზე ასხამს წყალს. გამიგია, როგორ უთქვამთ, ბევრი გაუცდა და ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ვერ ითამაშებსო. ამ აზრს არ ვეთანხმები და არა მგონია მას თვით ოუენი ეთანხმებოდეს. პირიქით, ის, ალბათ ფიქრობს, რომ სხვებზე დასვენებული იქნება, ხოლო როდესაც სხვებზე დასვენებული ხარ, მეტის გაღებაც შეგიძლია, მითუფრო იმ ხალხთან შედარებით, რომელთაც მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან ბევრი ითამაშეს. და ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოუენი ჭკვიანი და სწრაფია. ის პირველი მოსწყდება ხოლმე ადგილს, რითაც მეურვეთაგან თავს ითავისუფლებს. ოუენი მოედნის ნებისმიერი ადგილიდან საშიშია, საჯარიმოში კი უბრალოდ მომაკვდინებელი გახლავთ, მაგრამ ინგლისის ნაკრების მთავარი ფიგურები რა თქმა უნდა მაინც ლამპარდი და ჯერარდი არიან. მე ვფიქრობ, რომ ინგლისის ნაკრების შანსები ასი პროცენტით ამ ორი ფეხბურთელის თამაშზეა დამოკიდებული.

ამ ორს ერთნაირი თვისებები აქვთ, რასაც საკლუბო დონეზე დღენიადაგ ამტკიცებენ. ისინი შეტევაში გოლის გასატანად ყველაზე მორგებულ დროს ერთვებიან, რაც გასულ სეზონში უამრავი დიდებული დარტყმით დაამტკიცეს. ორივეს ეხერხება გადამწყვეტი პასის გადაწოდება ანუ თანაგუნდელებისთვის საგოლე მომენტების შექმნა და ორივე მარად მოგებაზეა დამშეული.

## შანსი

მაშ ასე, ინგლისი უტევს, ინგლისი თავს იცავს, ინგლისი მოძრაობს, იბრძვის, გოლები გააქვს და თუ თავდამსხმელებს — სულ ერთია რომლებს — ეფექტურად ათამაშებს, მთავარ ფავორიტთაგანი იქნება.

და კიდევ, ბექემი. მას დიდებული ტექნიკა აქვს, მარჯვენა ფრთიდან ფანტასტიკურია, თამაშიდან საუცხოოდ აწვდის და კუთხურების დროსაც მეტისმეტად სახიფათოა, ხოლო „რეალში“ გატარებული ცუდი სეზონის შემდეგ, ბუნებრივია გამარჯვებას მოწყურებულია.

ინგლისის ნაკრების მსგავსი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ტერის, ფერდინანდისა და კემპბელის აღნაგობის ფეხბურთელებიც. ისინი კარგად იხსნებიან და შეტევაში ერთვებიან.

ასე და ამგვარად, სვენის გუნდს რუნის გარეშეც უამრავი დადებითი მხარე აქვს, ხოლო მანჩესტერელის გამოჯანმრთელება, უბრალოდ, საჩუქრად შეუძლიათ მიიღონ. იმის მიღება რასაც არ ელი, ხომ დიდი საჩუქარია.

**ბაჰუნა ძედია**

# ამხანაგური მატჩები

## რონალდო რომარიოა



AFP

**ბრაზილია 4:0 ახ. ზელანდია**
1:0 რონალდო (43), 2:0 ადრიანო (51), 3:0 კაკა (86), 4:0 ჟუნინიო (90)
**ბრაზილია:** დიდა, კაფუ (სისინიო 76), ლუსიო, ჟუანი, რობერტო კარლოსი (ჟუნინიო 65), კაკა, ემერსონი (ჟილბერტო სილვა 65), ზე რობერტო (ჟილბერტო 65), რონალდინიო (რიკარდინიო 75), რონალდო (რობინიო 46), ადრიანო
**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა

**ბრაზილიის** ნაკრები მუნდიალისწინა ბოლო მოსამზადებელ მატჩში ახალ ზელანდიას შეხვდა და 4:0 გაანადგურა. ოკეანელებს დიდა თითქმის არ შეუწუხებიათ, პარეირას ბიჭებმა კი მშვენივრად იბურთავეს და ყველას დაუმტკიცეს, რომ მსოფლიოს პირველობას საბრძოლო ფორმაში ხვდებიან. რონალდომ ნაკრების შემადგენლობაში 99-ე მატჩი ითამაშა — კიჭამ კაკას პასით 43-ე წუთზე გახსნა ანგარიში. „რეალის" მოიერიშე ამ გოლით ბრაზილიის ეროვნული გუნდის ისტორიაში მეორე საუკეთესო მეგოლეს, რომარიოს გაუთანაბრდა. რონის და რომის 70-ჯერ დაულაშქრავთ მეტოქეთა კარი და ამიტომაც არიან ნაკრების მეგოლეთა სიაში მეორე ადგილზე. ხოლო პირველი ვინცაა, თავადაც მოგეხსენებათ...

„სტად დე ჟენევაზე" გამართულ მატჩში ბრაზილიელებს გოლის შეგდება დააგვიანდათ, თუმც პირველი ტაიმის მიწურულს, როგორც მოგახსენეთ, კიჭამ ივაჟკაცა და კარნავალიც დაიწყო.

ადრიანომ შესვენების შემდეგ 2:0 აანთო ტაბლოზე. ინტერელი თავის პერსონალურ მეურვეს მოხერხებულად დაუსხლტა და გლენ მოსის კარში ლურსმანივით შეარჭო ბურთი.

ახალზელანდიელთა კოვენიამ და კილენმა რამდენჯერმე სცადეს, მსოფლიოს ჩემპიონთა საჯარიმოში ხიფათი შეექმნათ, თუმც უშედეგოდ და ტანჯვას მოეშვნენ... ოკეანელთათვის პარეირას ჯადოქრებთან მატჩი ევროპულ ტურნეში მეოთხე გახლდათ. ბრაზილიამდე ახალმა ზელანდიამ უნგრელებთან წააგო, ესტონეთთან ფრე ითამაშა და საქართველოს ნაკრებს მოუგო 3:1.

ჟენევაში კი ადრიანო, რობერტო კარლოსი, რობინიო და სისინიო ისე ბომბავდნენ მეტოქის კარს, თითქოს ჩვენებურების წყენისთვის ვენდეტას აპირებდნენ. საბრალო მოსის წვალება მატჩის ბოლოს კაკამ და ჟუნინიომ დაასრულეს ლამაზი გოლებით.

მეტ ამხანაგურ შეხვედრას ბრაზილია მუნდიალამდე აღარ გამართავს. 13 ივნისს კი პენტაკამპეონები უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე ხორვატიას შეერკინებიან.

**ლადო ხომერიკი**



AFP

## ანრი მიშელმა თერთმეტი სპილო დამალა

**კოტ დივუარი 3:0 სლოვენია**
1:0, 2:0 დროგბა (35, 36), 3:0 აკალე (70)
**კოტ დივუარი:** ტიზიე, ებუე, კ. ტურე (დომორო 64), ბოკა, მეიტე, ი. ტურე (ფაე 64), იაპი იაპო (ბ. კალუ 46), ზოკორა, აკალე (ა. კეიტა 74), დროგბა (რომარიკი 78), დინდანე (ბ. კონე 64)
**მწვრთნელი:** ანრი მიშელი

**ზედიზედ** სამი ამხანაგური მატჩის ფრედ დამთავრების მერე, კოტ დივუარმა მუნდიალამდე გენერალური რეპეტიცია სლოვენიასთან გაიარა და გამარჯვებასაც მიაღწია. გაიბრწყინა „სპილოების" ლიდერმა დიდიე დროგბამ. „ჩელსის" ფორვარდმა დუბლი გაიფორმა და ნაკრებში ჩატარებულ 34 მატჩში უკვე 23 გოლი მოუგროვდა.

აფრიკელები მეტოქეს თავიდანვე მიაწყდნენ და მიაღწიეს კიდეც მიზანს. მოკლე მონაკვეთში დროგბამ ჯერ მეკარე მოატყუა და ცარიელ კარში შეაგდო ბურთი, მერე კი თავურით გაიტანა. კოტ დივუარს კიდევ შეეძლო გატანა, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ნახევარში გუნდებმა ექსპერიმენტებს მიმართეს. „სპილოების" თავკაცმა ანრი მიშელმა შეცვლების ლიმიტი სრულად ამოწურა, მისმა შეგირდებმა კი მესამეც გაიტანეს. დროგბას მონაწილეობის გარეშე არც ეს ბურთი გასულა. მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა, კანგა აკალემ კი დამატებაზე ყველას დაასწრო.

ანრი მიშელი შეგირდების თამაშით კმაყოფილი დარჩა და განაცხადა, უკვე ვიცი ის ფეხბურთელები, ვინც ძირითად შემადგენლობაში იქნებიან, მაგრამ საიდუმლოდ შევინახავო.

**კოკი კანდელაკი**

## ბნელი წერტილები ადვოკაატის რგოლებში

**სამხრეთ კორეა 1:3 განა**
0:1 გიანი (353), 1:1 ე. ლი (49), 1:2 მუნტარი (62), 1:3 ესიენი (81)
**სამხრეთ კორეა:** ვ. ლი, ჯ. კიმი (ს. კიმი 51), ი. კიმი, ი. ლი, სონგი, ჰ. ლი, ე. ლი (სეოლი 81), ჯ. პარკი (ნ. კიმი 81), ანი (ჩო 46), ჩ. ლი, ჩ. პარკი
**მწვრთნელი:** დიკ ადვოკაატი
**განა:** კინგსტონი (აჯეი 46), მენსა, პანცილი, პაპოე, შილა, ე. ადო, აპია, ესიენი, მუნტარი, მ. ამოა (პიმპონგი 82), გიანი
**მწვრთნელი:** რატომირ დუიკოვიჩი

**შოტლანდიის** დედაქალაქ ედინბურგში მუნდიალის ორმა მონაწილემ — სამხრეთ კორეამ და განამ — საინტერესო მატჩი გამართა. თამაშს არც გოლები აკლდა, არც სახიფათო მომენტები და არც დაძაბულობა. აფრიკელებმა აშკარად უკეთ ითამაშეს და დამსახურებულად მოიგეს კიდეც.

კარში, პირველად, მხოლოდ მე-17 წუთზე დაარტყეს. „ჩელსის" ნახევარმცველმა მიკაელ ესიენმა სახიფათოდ გაისროლა, მაგრამ კორეელთა მეკარე ვოონ იაე ლი ადგილზე იყო. 35-ე წუთზე კი აზიელთა კარის დარაჯმა ვერაფერი გააწყო, ასამოა გიანმა პენალტით გაიტანა.

მეორე ტაიმის დებიუტში ეულ იონგ ლიმ ძალიან ლამაზი გოლი შეაგდო. მან ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, ცოტა გაირბინა და მარცხენათი ძლიერად გაისროლა. აფრიკელთა გოლკიპერი რიჩარდ კინგსტონი უძლური აღმოჩნდა. თუმცა ამან განელებს ხასიათი ვერ წაუხდინა. 62-ე წუთზე მინდორზე ერთ-ერთმა საუკეთესომ, ესიენმა სულეი მუნტარის კარგად ჩააწოდა და მანაც თავით უნაკლოდ დაარტყა. მალევე მეტიუ ამოამ და გიანმა ესიენს ჩინებული მომენტი შეუქმნეს, მაგრამ ჩელსელმა ვერ დააგვირგვინა, თუმცა მან თავისი გოლი მაინც შეაგდო — მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე გიანთან კედელი გაითამაშა და ვოონ იაე ლისთან პირისპირ დარჩენილმა მშვიდად შეაგორა ბურთი დაბალ კუთხეში.

„დაცვა, ნახევარდაცვა, თავდასხმა... დღეს ჩვენს გუნდში არც ერთი ნათელი წერტილი არ ყოფილა. სამწუხაროდ, თამაშს უფრო და უფრო ვაუარესებთ, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს, თუ რაიმე არ მოვიფიქრეთ და შევცვალეთ" — თქვა აზიელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა.



AFP

ჯონ მენსამ ჰეიონ სეოლს გაასწრო

**გიორგი კაკაბაძე**

## ტამადამ გაიტანა

**იაპონია 1:0 მალტა**
1:0 ტამადა (2)
**იაპონია:** კავაგუჩი, კომანო, მიამოტო, ნაკაზავა, სანტოსი (კ. ნაკატა 59), ცუბოი (ონო 46), ფუკუნიში (ინამოტო 69), ნაკამურა, ჰ. ნაკატა, ოგურო (მაკი 69), ტამადა (ოგასავარა 61)
**მწვრთნელი:** ზიკო

**მალტასთან** მატჩის წინ იაპონია ორი წამყვანი ფორვარდის, აცუში იანაგისავასა და ნაოჰირო ტაკაჰარას გარეშე დარჩა. მათ მცირე ტრავმები აწუხებთ და ექიმები ყველაფერს აკეთებენ, რომ მუნდიალის პირველ მატჩში ავსტრალიასთან სათამაშოდ ბოლომდე მზად იყვნენ. აზიელთა ბრაზილიელმა მთავარმა მწვრთნელმა ზიკომ მათ ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში კეიჯი ტამადა და მასაში ოგურო დააყენა.

ძირითადში მოხვედრით ფრთაშესხმულმა „ნაგოიას" ფორვარდმა ტამადამ უკვე მე-2 წუთზე შეაგდო. მართალია, იაპონელებს ამის მერეც არაერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ სხვაობის გაზრდა ვერ შეძლეს. იანაგისავასა და ტაკაჰარას არყოფნა აშკარად შეიმჩნეოდა.

ზიკომ მეორე ტაიმში ხუთი შეცვლა გააკეთა. ტაქტიკა გადააწყო და შეტევის გაძლიერება სცადა, რამაც ეფექტი მოახდინა, მაგრამ შედეგი არ მოუტანია. დიუსელდორფის სტადიონზე შეკრებილ ქომაგებს მეტი გოლი არ უნახავთ.



AFP

ზიკო

„ცუდად გამოვიყურებოდით. არასწორად და უყურადღებოდ ვითამაშეთ. შესაძლოა, იმიტომ, რომ ვიცოდით, მეტოქე შედარებით სუსტი იყო, მაგრამ ეს გამართლება არ არის. იმედია, ყველაფრის გამოსწორებას და სასიკეთოდ შეცვლას შევძლებთ, დრო ცოტა რჩება" — აღნიშნა ზიკომ.

**კოკი კანდელაკი**

# კანისარესი ძვლებს დაყრის

*„ვალენსიას“ და ესპანეთის ნაკრების მეკარე სანტიაგო კანისარესი „მარკას“ ჟურნალისტს მუნდიალის და ეროვნულ გუნდში თავისი კარიერის შესახებ გაესაუბრა. ქერა ვალენსიელი ფრთხილი კაცია, მეკარის ჩვევისამებრ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მეტოქეს უნდა ვუფრთხილდეთ, ზედმეტი თვითდაჯერებულობა სპორტსმენის ყველაზე დიდი მტერიაო, განაცხადა სანტიაგომ*



— შეკითხვა მილიონ ევროდ — ესპანეთი შეძლებს მსოფლიო ჩემპიონატის მოგებას?

— რა თქმა უნდა, ახლა ძალიან ძლიერი ნაკრები გვყავს.

— 2006 წლის მუნდიალზე განსაკუთრებულ ყურადღებას რას აქცევთ?

— დღეს არაფერს. საყურადღებოს და საინტერესოს უკვე იქ, გერმანიაში დავაკვირდები.

— მსოფლიოს წინა ჩემპიონატებიდან რა ისწავლეთ? „ფურია როხამ“ 2006-ს მუნდიალზე ისევ ძველი შეცდომები უნდა გაიმეოროს?

— წინა ჩემპიონატებზე გამოცდილება მივიღეთ. გერმანიაში ნაკლებად შევცდებით.

— ნაკრებში მეკარეობაზე ყველაზე დიდი კონკურენციაა?

— დიახ. ამას ჩემს გამო არ გეუბნებით. კასილიასი და რეინა დიდი მეკარეები არიან.

— თვლით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეკარის დამსახურებებს ჯეროვნად არ აფასებენ?

— მთლად სამართლიანად მუნდიალი არავის ეპყრობა. ბოლოს და ბოლოს ეს შეჯიბრი მხოლოდ ერთ თვეს გრძელდება და არ არის გამორიცხული, უამრავმა ფეხბურთელმა სანახევროდაც ვერ გამოავლინოს თავისი რეალური ძალა. ღირსეულის დადგენას ხომ წლები სჭირდება...

— რომელი მეკარეები გაიბრწყინებენ გერმანიის მუნდიალზე?

— გოლკიპერები ყოველთვის ჩვენი გუნდების დონეზე ვართ დამოკიდებულნი. თუ დაცვის ხაზი სწორად მუშაობს, მეკარესაც მეტი შანსი აქვს, თავი გამოიჩინოს. ჩემთვის საუკეთესო ის არის, ვინც იმარჯვებს.

— ესპანეთი რომ ბრაზილიას შეხვდეს და კარში თქვენ იდგეთ ადრიანოს, რონალდოს, რონალდინიოსა და კაკას პირისპირ, რა შთაბეჭდილება გექნებათ?

— მთავარია, ფეხბურთი მთელი სხეულით შეიგრძნო და მაქსიმუმი გააკეთო მეტოქის დამარცხებისთვის, ბრაზილია იქნება ეს თუ სხვა რომელიმე გუნდი... მოედანზე ძვლები უნდა დატოვო და მატჩი აუცილებლად უნდა მოიგო. ვინც ბოლომდე იბრძვის, ბედიც იმას უღიმის...

— თქვენი აზრით, ლუის არაგონესი ნაკრებში სანტიაგო კანისარესის გაწეულ სამუშაოს სათანადოდ აფასებს?

— გაწეული შრომის საუკეთესო ანაზღაურება ჩემთვის კარგად გაკეთებული საქმე გახლავთ. ასევე ყველაზე ცუდი სასჯელი ჩემთვის პირადი უკმაყოფილებაა, მაშინ, როცა ვთვლი, რომ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე. მწვრთნელის გადაწყვეტილებებს კი ყოველთვის პატივს ვცემ.

— რას გააკეთებთ, ესპანეთმა მუნდიალი რომ მოიგოს?

— განსაკუთრებულს არაფერს. თუმცა ჯერ ხომ არ მოგვიგია. ვნახოთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე რა მოხდება და მერე ეგებ ძალიან დიდი ფიესტაც მოვაწყოთ.

— თქვენ ნაკრების ერთ-ერთი გამოცდილი ვეტერანი ხართ. ახალბედებს — ინიესტას, სესკს და სერხიო რამოსს — რა რჩევას მისცემდით?

— საუბედუროდ, ნაკრებში ყველაზე „ბებერი“ მე ვარ... რაღა დაგიმალოთ და მშურს იმ ბიჭების, თქვენ რომ ჩამოთვალეთ — მთელი კარიერა წინ უძევთ. ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან და ჩემს პატივისცემას იმსახურებენ.

— თვლით, რომ ძირითად გუნდში მოსახვედრად იგივე შანსები გაქვთ, როგორიც სხვა მოთამაშეებს?

— მეკარეებს დანარჩენი ფეხბურთელებისგან განსხვავებული ცხოვრება გვაქვს. თუ ხშირად თამაში არ მომიწევს, არ ვინანებ. ნაკრებში ჩემი როლი კარგად ვიცი.

— მუნდიალზე ყველაზე მეტად რომელი მეტოქის უნდა გვეშინოდეს?

— ყველას უნდა ვუფრთხილდეთ. თვითდაჯერებულობა სპორტსმენის უპირველესი მტერია.

— ესპანეთის ნაკრების ძლიერი და სუსტი მხარეები გვითხარით...

— ჩვენ ისტორიული უიღბლობის წინააღმდეგ ვიბრძვით. ამჟამად კარგი გუნდი გვყავს და ნავსი უნდა გავტეხოთ.

